საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღმასრულებელი დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 102 30.10.2023

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N375 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მრჩეველთა საბჭოს დებულება“ თანდართული რედაქციით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 2 აგვისტოს N79 ბრძანება.
3. ბრძანება გაეცნოს ყველა მასთან დაკავშირებულ პირს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მრჩეველთა საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება (შემდგომში - დებულება) განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (შემდგომში - საქსტატი) არსებული საკონსულტაციო ორგანოს, საქსტატის მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) შექმნის, საქმიანობის, წინადადებების, რეკომენდაციების შემუშავებისა და წარდგენის წესს, საბჭოს წევრობისათვის სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. საბჭო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქსტატის დებულებით, ამ დებულებით, საერთაშორისოდ აღიარებული ოფიციალური სტატისტიკის პრინციპებითა და პროფესიული ეთიკის პრინციპებით.

მუხლი 2. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

1. მრჩეველთა საბჭო შედგება არანაკლებ 9 წევრისგან. მათგან ერთ-ერთი არის საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც იმავდროულად საბჭოს თავმჯდომარეა.
2. საბჭოს წევრს, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი.
3. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში საქსტატის მრჩეველთა საბჭოს წევრი თავის მოვალეობას ასრულებს ახალი აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნამდე.

მუხლი 3. მრჩეველთა საბჭოს წევრობისთვის შესარჩევი კანდიდატის სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საბჭოს წევრად შეიძლება შეირჩეს პირი, რომელიც არის:

ა) სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, მათემატიკის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტი (პრაქტიკული ან მეცნიერული საქმიანობის გამოცდილების მქონე);
ბ) მეწარმეთა გაერთიანების (კავშირის და სხვ.) ხელმძღვანელი ან გაერთიანების მიერ შერჩეული;
გ) სტატისტიკის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, დემოგრაფიის, სოციალურ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი;
დ) ოფიციალური სტატისტიკის სფეროს განვითარებით დაინტერესებული არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან ორგანიზაციის მიერ შერჩეული;
ე) სტატისტიკის მწარმოებელი ან ადმინისტრაციული წყაროს ფუნქციის მქონე სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელი;

2. საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ სულ მცირე ერთ მოთხოვნას.
3. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 4. მრჩეველთა საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

1. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
დ) „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა;
ე) გარდაცვალება.
2. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციები

1.საბჭოს ფუნქციებია:
ა) საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა და რეკომენდაციების წარდგენა;
ბ) სტატისტიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის მეცნიერული ანალიზი და საქსტატის აღმასრულებელი დირექტორისათვის რეკომენდაციების მომზადება;
გ) სტატისტიკური საქმიანობის თანამედროვე მეთოდების განხილვა, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორისთვის სტატისტიკური მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა და წინადადებების წარდგენა;
დ) „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა საქმიანობების განხორციელება.
2. საქსტატის მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა.
3. საქსტატის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად, საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები.

მუხლი 6. მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის წესი

1. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომის სახით. საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე არანაკლებ წელიწადში ერთხელ.
2. სხდომის მოწვევის ინიციირების უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს ან საბჭოს არანაკლებ სამ წევრს.
3. საბჭო ხმათა უმრავლესობით ირჩევს საბჭოს მდივანს, რომელიც ადგენს საბჭოს სხდომის ოქმს.
4. სხდომის დანიშვნისა და მისი დღის წესრიგის შესახებ საბჭოს წევრებს ეცნობება სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.
5. საბჭო მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციებს და წინადადებებს ამზადებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა შეიძლება გაიმართოს ელექტრონული ფორმით.
6. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს დანიშნული წევრების ნახევარი მაინც.
7. გადაწყვეტილება მიღებულია თუ მხარს დაუჭერს დამსწრეთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საოქმო ჩანაწერით.
9. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
10. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევრის ან საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომის ოქმი ეგზავნება საქსტატის საბჭოს.
11. საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

12. მრჩეველთა საბჭოს უფლება არა აქვს მოითხოვოს საქსტატის საბჭოს გადაწყვეტილებების შეცვლა ან გაუქმება.

მუხლი 7. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. ამ დებულებაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3.
2. დებულებაში ცვლილებები მიღებულად ითვლება, თუ მათ მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის 1/2. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.